ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის თანახმად, გაწვდით ინფორმაციას ჩემს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგინების ადგილის, თარიღისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ.

დანართი:27 ფურცელი

პატივისცემით,

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების
მაჟორიტარი წევრი

გულია გოცირიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლთა რაოდენობა 2 ფურცელი
№10/9693 09.10.17

მოგესალმებით ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი წევრი გავხდი 2016 წლის ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგად.

ა.წ. 27 ოქტომბერს ამომრჩეველს წარვუდგენ, ჩემს მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2016 წლის 11 ოქტომბრიდან, 2017 წლის 11 ოქტომბრამდე პერიოდს.

ანგარიშის წარდგინება მოხდება 27 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ჩემს ოფისში, შემდეგ მისამართზე: მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია, ბიზნესცენტრი ,,მარიამი", მე-2 სართული. წარდგინებაზე მოწვეული იქნება 20 მოქალაქე. კერძოდ, ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მაცხოვრებლები. ასევე თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები: ქეთევან ჯოხაძე და ბორია ფირცხელიანი.

პატივისცემით,

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების
მაჟორიტარი წევრი გულია გოცირიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, გაწვდით ჩემს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის.

დანართი: 25 ფურცელი

პატივისცემით,

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების
მაჟორიტარი წევრი

გულია გოცირიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის გულია გოცირიძის

გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

11.11. 2016 – 11.11. 2017

2016 წლის ნოემბრიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის, მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი გლდანის ლუწ მიკრო რაიონებში. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისის წევრი. აგრეთვე ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის, პროექტებისა და ინიცირების შესახებ ზოგადი ინფორმაცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 2016 წლის 11 ოქტომბრიდან 2017 წლის 18 სექტემბრამდე, (ინფორმაციის მოთხოვნის დღემდე), მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 25 სხდომაში. ჩემი თანამონაწილეობით საკრებულოს მიერ, მთლიანობაში მიღებულია 97 დადგენილება და 512 განკარგულება.

2016 წლის ნოემბრის თვიდან ვარ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. 2016 წ. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ჩატარდა კომისიის 3 სხდომა. აქედან ვესწრებოდი სამივეს. 2017წ. დღემდე ჩაატარა 11 კომისიის სხდომა, აქედან ვესწრებოდი 10 სხდომას.

ასევე, 2016 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი. 2016 წლის ნოემბრის თვიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, დავესწარი კომისიის 5 სხდომას.

კომისიის მიერ შესწავლილი/განხილული 71 საკითხიდან შევისწავლე 9 საკითხი.
2017 წლის 1-ლი იანვრიდან 18 სექტემბრამდე (ინფორმაციის მოთხოვნის დღემდე) ჩატარდა

კომისიის 18 სხდომა. აქედან დავესწარი 17 სხდომას და კომისიის მიერ შესწავლილი /განხილული 63 საკითხიდან შევისწავლე 59 საკითხი.

აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში, რომელიც შედგენილია მოსახლეობის მოთხოვნილების და მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და გამწვანებითი ღონისძიებები. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა პრობლემების გადაწყვეტა და განვითარების ხელშეწყობა.

ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით პასუხისმგებლობით ვეკიდებით სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების, უსახლკაროების და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა, ასევე დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთა სოციალური საჭიროებებით უზრუნველყოფას, როგორც სერვისების მიწოდების, ასევე სხვადასხვა დამხმარების გაცემის გზით.

ამ წელს ბიუჯეტში ჯანდაცვის მიმართულებით სხვა მნიშვნელოვან პროგრამებთან ერთად გავითვალისწინეთ და დავამტკიცეთ რამდენიმე პროგრამის ქვეპროგრამის განხორციელების წესი. ისეთი, როგორიც არის ,,ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი", ,,აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელრბის წესი" და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესი".

ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გათვალისწინებულია თანხები სხვადასხვა სოციალურ პროგრამების მხარდაჭერად. ისეთი როგორიცაა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4 და შემდეგ შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურება; 100 წელს მიღწეული მოქალაქისათვის ერთჯერადი დახმარება; სოციალურად დაუცველი სტუდენტების უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დაფინანსება. სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები; ომის ვეტერანთა დახმარება; ყრუ ინვალიდთა თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა; მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა; მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა; სოციალურად დაუცველ 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება; ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრიის თანადაფინანსება. სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

უსინათლო პირების დახმარება; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარება; შინმოვლის თანადაფინანსება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
პრიორიტეტის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდა კომუნალური სუბსიდირების პროგრამა.

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროების დახმარების მიმღები ბენეფიციარები არიან: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 – 100 000-ს; სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 10 000-დან 200 001-ს; მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები; ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში; მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი; დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების ან ქალაქ თბილისზე მზრუნველის სტატუსის მქონე მატარებელი პირი; სხვა პირები, რომლებიც საკუთარი განცხადების საფუძველზე, მატერიალური მგდომარეობის გამო საჭიროებენ დახმარებას;

თბილისში ფუნქციონირებს 240 ბენეფიციარზე გათვლილი მიუსაფართა თავშესაფარი. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად. უკვე მესამე წელია ჯგუფი ,,სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს მიერ, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, დღემდე აგრძელებს მის განახლებასთან დაკავშირებით აქტიურ მუშაობას.
ვინაიდან არ არსებობდა ეფექტური განაშენიანების დოკუმენტი, ქალაქში მიმდინარეობდა უკონტროლო მშენებლობები, რაც მუდმივად იწვევდა მოსახლეობის გულისწყრომას. შეიზღუდა გამწვანებულ ტერიტორიაზე განაშენიანების პროცესი.

გასული წელი საინტერესო იყო იმითიც, რომ მოქალაქეთა კომფორტული და უსაფრთხო გადაყვანის მიზნით, ქალაქში შემოვიდა და მოძრაობს ,,MAN"-ის ტიპის ახალი ადაპტირებული ავტობუსები. მოეწყო და განახლდა პეკინის ქუჩის როგორც მიწისქვეშა კომუნიკაციები, ასევე სამანქანო და 1 კილომეტრიანი ველობილიკი. ქალაქის მასშტაბით, ინტენსიურად მიმდინარეობს სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტირება და ახლის მოწყობა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების მოგვარება, რაც საკრებულოს მიერ მიღებული 2017 წლის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

აშენდა ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები. შემოვიდა და ქალაქში მოძრაობს ახალი ნაგვის შემკრები და გამტანი მანქანები. განახლდა მეტოსადგური ,,უნივერსიტეტი". გაიხსნა რაგბის

სავარჯიშო ახალი სტადიონი. დედაქალაქის მერია შეუერთდა ღონისძიებებს, რომლებიც, ლოზუნგით - „მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ", მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება და შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლის იუბილეს ეძღვნება. განახლდა ძველი თბილისური სახლები და ეზოები. მოხდა მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში
ჩემი მუშაობის შესახებ

მოგახსენეთ, რომ საკრებულოს მაჟორიტარი წევრი გავხდი შევედი 2016 წლის ოქტომბრის შუალედური არჩევნები შედეგად. ნოემბრის თვიდან გავხდი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. 2016 წ. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ჩატარდა კომისიის 3 სხდომა. აქედან ვესწრებოდი სამივეს. 2017წ. დღემდე ჩაატარა 11 კომისიის სხდომა, აქედან ვესწრებოდი 10 სხდომას.

მათ შორის მნიშვნელოვანი იყო:

- კომისიის სხდომის ოქმი № 22 თარიღი: 26.12.2016

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესების დამტკიცების შესახებ (04/20620 22 დეკემბერი 2016 წელი);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს # 19-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (04/20618 22 დეკემბერი 2016 წელი).

- კომისიის სხდომის ოქმი № 1 თარიღი: 20.01.2017წ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს #19-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (04/776 18.01.2017წ.)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესების დამტკიცების შესახებ (04/778 18.01.2017წ.)
   დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 01 02)
   C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი (კოდი: 06 01 12)

- კომისიის სახდომის ოქმი # 2 თარიღი: 17.02.2017წ.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის #33-92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/2021 14.თებერვალი 2017წ.)

„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“

- კომისიის სახდომის ოქმი # 3 თარიღი: 02.02. 2017 წ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცებისშესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/2516, 24 თებერვალი 2017წ.)

- კომისიის სახდომის ოქმი # 6 თარიღი: 08.06.2017წ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის #33-92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/6392 01 ივნისი 2017 წელი)

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"

- კომისიის სახდომის ოქმი # 7 თარიღი: 13.07.2017წ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

- კომისიის სხდომის ოქმი № 9 თარიღი: 25.07.2017წ.

სხდომის დღის წესრიგი:

1. პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8353, 21 ივლისი 2017 წელი).

გარემოს დაცვის კომისიაში
ჩემი მუშაობის შესახებ

ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

გამომდინარე იქედან, რომ მე საკრებულოს წევრი გავხდი 2016 წლის ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგად, ამიტომ აღნიშნულ კომისიაში მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში მომიწია მუშაობა. 2016 წლის ნოემბრის თვიდან, 31 დეკემბრის ჩათვლით, დავესწარი კომისიის 5 სხდომას.

კომისიის მიერ შესწავლილი/განხილული 71 საკითხიდან შევისწავლე 9 საკითხი.

2017 წლის 1-ლი იანვრიდან 18 სექტემბრამდე (ინფორმაციის მოთხოვნის დღემდე) ჩატარდა კომისიის 18 სხდომა. აქედან დავესწარი 17 სხდომას და კომისიის მიერ შესწავლილი /განხილული 63 საკითხიდან შევისწავლე 59 საკითხი.

ჩემი ინიციატივით, როგორც გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატმა ჩემს სამაჟორიტარო ოლქში აღვრიცხე მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა. რაოდენობა განვსაზღვრე 4 შვილით და მეტით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გლდანის ლუწ მიკრო რაიონებში ცხოვრობს ერთი 12 შვილიანი, ორი 11 შვილიანი, ორი 10 შვილიანი, სამი 9 შვილიანი, სამი 8 შვილიანი ოჯახები. 7 და 6 შვილიანი ოჯახები უკვე მრავლადაა. მრავალშვილიან ოჯახთა სიაში არ შემიყვანია ის ოჯახები, რომელთაც 3 შვილი ყავთ.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ბევრ მათგანს მოვუგვარეთ ისეთ პრობლემები, როგორიც იყო სასურველ სკოლაში (სახლთან ახლოს) დარეგისტრირება, სკოლიდან სკოლაში გადაყვანა, საბავშვო ბაგა-ბაღში დარეგისტრირება და გადაყვანა. საოჯახო და პირადი მოხმარების ნივთების შეძენა.

ჩვენი ოფისის ხშირ სტუმარს სამშვილიან მარტოხელა დედას, სოციალურად დაუცველ ნათია სვანიძეს („ა“ მ/რ, კ-49, ბ19), რომელიც ცხოვრობს სიღარიბეში, შევუძინე ორსართულიანი საწოლი და პირადი მოხმარების სხვადასხვა ნივთი.

პირადი სურვილითა და ინიციატივით ხშირად ვხვდები მრავალშვილიანებს, ვესაუბრები და შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში ვუგვარებ პრობლემებს. საერო და სასულიერო დღესასწაულებზე ვჩუქნი სხვადასხვა საჭიროების პაკეტებს.

როგორც სხვა გლდანის მაცხოვრებლები, ასევე მრავალშვილიანი ოჯახები სარგებლობენ ჩემი ოჯახის მიერ დაარსებული უფასო სამედიცინო ცენტრით - „მედიკი“. აღნიშნული ცენტრში დასაქმებულნი არიან მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც 20 წელია, ემსახურება გლდანის მოსახლეობას და არა მარტო მათ. ამ ხნის მანძილზე უფასო მომსახურება 90 000-ზე მეტმა პაციენტი მიიღო. ცენტრში მიმდინარეობს კარდიოლოგიური კვლევა, მუცლის ღრუს ექოსკოპია, სისხლის საერთო, ქოლესტერინის და შაქრის ანალიზი. ცენტრი, როგორც სტაციონალურად, ასევე ადგილზე მისვლით ემსახურება მოსახლეობას.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წარდგინებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში შეხვედრები ტარდება ყოველი კვირის ოთხშაბათს, მიმდინარე წლის განმავლობაში გაიმართა 46 მიღება (16.11.2016-11.10.2017). შეხვედრა შედგა 1771 (ათას შვიდას სამოცდათერთმეტ) მოქალაქესთან. ტრადიციული ოთხშაბათის გარდა, საკრებულოდან გამოთავისუფლებულ დროს ვარ ბიუროში, სადაც ვხვდები მოქალაქეებს და ვეცნობი მათ პრობლემებს.

მიღების ფარგლებში მოქალაქეებს პირადად ვუსმენ და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ დახმარებას. მოქალაქეთა თხოვნები ძირითადად, ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურული მოწყობისა და სამართლებრივ საკითხებს ეხება. ხშირად ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს.

ბიურო მუშაობს ყოველდღე 10:00 – 18:00 საათამდე. შემოსულ მოქალაქეს ვუწევთ სხვადასხვა სახის კონსულტაციას, დახმარებასა და შუამდგომლობას. ბიურო შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებში და განცხადებებში დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით, რეაგირებას ახდენს მათზე.

წარმოგიდგენთ ბიუროში შემოსულ განცხადებათა სტატისტიკას:

2016-11 ნოემბერი-2017წ. 11 ოქტომბრის ჩათვლით ჩემს ოფისში შემოსულია 307 განცხადება. აქედან დიდი უმრავლესობა დადებითად არის გადაწყვეტილი გლდანის რაიონის გამგეობისა თუ სხვადასხვა სამსახურების მიერ. წარმოგიდგენთ შემოსული და დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობას.

1. მედიკამენტებზე შემოსული 127 განცხადებიდან დაფინანსდა -107. დაფინანსება არ მოხდა იმ განცხადებებზე, რომლებიც გადამოწმების შედეგად არ აკმაყოფილებდნენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მედიკამენტებით დაფინანსების შემთხვევაში.

2. ოპერაციაზე შემოსული 17 განცხადებიდან დაფინანსდა - 15. ბევრი მათგანის დაფინანსება მოხდა არასრულად, ასეთ დროს კი დაფინანსებაში გვეხმარებოდა, როგორც ქალაქის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ასევე ჯანდაცვის სამინისტრო, პროგრამით,- ,,საყოველთაო დაზღვევა".

3. ერთჯერადი ფულად დახმარებაზე შემოსული 16 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა - 9.

4. დასაქმებაზე შემოსული 21 განცხადებიდან დაკმაყოფილდა - 13.
ჩემს მიერ რეკომენდაცია გაეწია სხვადასხვა სამსახურში პირებს, სხვადასხვა პოზიციებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს მოცემულ სამსახურში მისაღებად. ეს სამსახურებია: ქალაქის დასუფთავების, ბაგა-ბაღების, კვების ობიექტების და კერძო აღმზრდელების.

5. ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის საკითხებზე შემოსული განცხადებები: სულ შემოვიდა 17 განცხადება, საიდანაც განხორციელდა 14 მოთხოვნა.

6. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების მოთხოვნით შემოვიდა 12 განცხადება, საიდანაც განხორციელდა 9 მოთხოვნა.

7. სოციალური ქულების გადამოწმება-დანიშვნაზე შემოსულია 33 განცხადება, საიდანაც ყველა დაკმაყოფილდა და კანონის შესაბამისი პასუხით.

8. სასწრაფო ქირურგიულ ჩარევაზე შემოვიდა 7 განცხადება, საიდანაც 5 დაფინანსდა, გლდანის რაიონის გამგეობისა და ქალაქის მერიის სოციალური სამსახურის მეშვეობით.

9. გამათბობლების შეძენაზე შემოვიდა 7 განცხდება, დაკმაყოფილდა ყველა.

   მინდა აღვნიშნო, რომ არ დაკმაყოფილდა ის განცხადებები, რომლებსაც განცხადების შესვლიდან მოკლე პერიოდში ქონდათ დახმარება გაწეული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი განცხადებებისა, ჩემი შუამდგომლობით, მოხდა დაგროვილი გადასახადის გადანაწილება იმ ოჯახებზე, რომლებიც წლების მანძილზე ვერ იხდიდნენ ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების, ელექტრო ენერგიის გადასახადს. ასეთი გვყავდა 15 ოჯახი.

მაგალითად, გლდანის მე-6 მ/რ, კ-6, ბ-147-ში მცხოვრებ პეილვანიანების ოჯახს, რომლებსაც 3 წლის მანძილზე, გადაუხდელობის გამო, დაგროვილი ქონდათ ვალი - 3500

ლარის ოდენობით, გათიშული ქონდათ ელექტრო ენერგია. მათ ვუშუამდგომლე შესაბამის სამსახურებთან, სადაც ძველი დავალიანება ჩამოაწერეს და დარჩენილი თანხა 3 წელზე გადაუნაწილეს. ასეთი მრავალი შემთხვევა მქონდა ბუნებრივი აირის გადასახადის გადანაწილებაზე, სადაც მრავალშვილიან და მარტოხელა, სოციალურად დაუცველ და სხვა სტატუსით დატვირთულ ოჯახებს შეღავათი მიეცათ და გადასახადები გადაუნაწილდათ სხვადასხვა ვადით.

ვმუშაობ შეზღუდული შესაძლებლობის პირების ინტეგრირებაზე საზოგადოებაში. უშუალოდ ჩემი შუამდგომლობით, გაკეთდა გლდანის მე-6 მიკრო რაიონში 20 მეტრის სიგრძის პანდუსი, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, 7 გრადუსიანი დახრით. პანდუსი პირდაპირ საქალაქო ავტობუსის გაჩერებაზე ჩამოდის, რაც გადაადგილებას უადვილებს ეტლით მოსარგებლე პირებს.

ჩემი უშუალო ჩართულობით გლდანის მე-2 მიკრო რაიონის 45-ე კორპუსში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, გელა ცხადიას, რომელიც ეტლით სარგებლობს და აქვს შესაძლებლობა შესაფერის სამსახურში დასაქმდეს, სულ ახლახანს შევუქმენით ადაპტირებული გარემო, სადარბაზოში დავუმონტაჟეთ ელექტრონული ლიფტი, რომლითაც იგი ისარგებლებს.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი შაუმდგომლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხუთ პირს მივეცით ეტლით სარგებლობის საშუალება. აქედან ორ ადამიანს არასოდეს ქონია ეტლი (მე-6 მ/რ, კ-9, ბ-53-ში მცხოვრები ლიდა კრავეიშვილი და მე-6 მ/რაიონის მე-18 კორპუსში მცხოვრები, 14 წლის ანდრია ფეიქრიშვილი). სამს კი შეკეთებული ეტლი ახლით შევუცვალეთ. აღსანიშნავია ჩემი და გლდანში არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამეგობრება. ასეთები არიან დღის ცენტრი ,,ია" და მე-200 საჯარო სკოლა. მე მათ ხშირად სხვადასახვა ღონისძიებებზე ვეპატიჟებით. ასევე დავდივართ მათ მოწყობილ გამოფენებზე, კონცერტებზე, სპექტაკლებზე. ჩვენი მეგობრობა მრავალმხრივი და მჭიდროა.

ვთანამშრომლობ ორგანიზაციასთან, რომელიც ახორციელებს ,,შინ მოვლის პროგრამას" . ჩემი უშუალო შუამდგომლობით რამდენიმე ოჯახს აქვს უკვე ეს სერვისი. გაგაცნობთ არველოდი ჩიბურდანიძის სოციალურად დაუცველ ოჯახს (მე-8 მ/რ, კ-12, ბ-16). მას ერთადერთი შვილი გარდაეცვალა, მეუღლე დაავადდა და საჭიროებს ეტლს. ამ ოჯახში დადის ,,შინ მოვლის პროგრამის" აგენტი, რომელიც პროგრამით გათვალისწინებულ მოვალეობას ასრულებს და შშმ პირს, თემურ ჩიბურდანიძეს, ეხმარება გამოჯანმრთელებაში.

მინდა გაგაცნოთ, წარსულში ცნობილი ჟურნალისტი ლია ბუგიანიძე (მე-4 მ/რ, კ-96), რომელიც შშმ პირია, მარტოხელაა და მეზობლების დახმარების იმედით ცხობრობს, ჩვენ მას ხშირად ვსტუმრობთ და სხვადასხვა სახის საჭირო, სასურსათო და ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთებით ვეხმარებით.

დიდი სამამულო და აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანებისათვის გვაქვს დაგეგმილი ღონისძიებები. როგორც სასულიერო, ასევე საერო დღესასწაულებზე. პირადად მივდივარ მათთან სახლში, ვსაუბრობთ, ვეცნობი მათ პრობლემებს, საჭიროებებს და კანონის ფარგლებში დახმარებას ვუწევ, როგორც მათ, ასევე მათი ოჯახის წევრებს. ჩემს სამაჟორიტარო ოლქში დღესდღეობით დიდი სამამულო ომის სამი ვეტერანი ცხოვრობს.

როგორც აღმოჩნდა, მთელი ქალაქის მასშტაბით, სოციალური პაკეტების პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს ისე, რომ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა. მე მათთან ვატარებ ახსნა-განმარტებით მუშაობას, რომ ცდომილება აღნიშნულ საქმეში, ხდება. ბევრ მათგანს მოუხსნეს სოციალური დახმარება, ბევრ მათგანს ქულები აუწიეს და ფულადი დახმარება თავისთავად მოეხსნა. ოფისში მოდიან მოქალაქეები, რომლებიც არ ეთანხმებიან სააგენტოს მიერ მინიჭებულ ქულებს და ითხოვენ ხელმეორედ გადამოწმებას. პირადად მივედი და შევამოწმე ის ოჯახები, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს სოციალური ქულების გადამოწმებაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ეს პროგრამა გადასახედია და ბევრ ცვლილებას მოითხოვს.

ჩემი დეპუტატობის მანძილზე რამდენჯერმე ჩავატარე უფასო სასადილოების მონიტორინგი, სადაც გამოვლინდა რომ სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისთვის მზადდება საკმაოდ მაღალხარისხიანი საკვები. სასადილოებში ჩვენი არაგეგმიური და მოულოდნელი შესვლა, ბენეფიციერებთან საუბარი დასტური იყო იმისა, რომ სასადილოები გამართულად მუშაობენ. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მოსარგებლე მოქალაქეებიც კმაყოფილები არიან.

დიდი პრობლემა, რომელიც გმირ კურსანტთა ქუჩაზე სასმელი წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მოვაგვარეთ. 2017 წლიდან გარკვეული დროის განმავლობაში იქ მცხოვრებ 600 ოჯახს წყალი დროგამოშვებით მიეწოდებოდა. მიწოდებისას კი წნევა დაბალი იყო და კორპუსის ზემოთა სართულებზე ვერ აღწევდა. საკითხი დიდი ხნის მანძილზე გადაუწყვეტელი რჩებოდა, რადგან ვერ დადგინდა პრობლემის მიზეზი. ჩემი დიდი ძალისხმევით, გლდანის რაიონის გამგეობასთან და წყლის კომპანია GWP-სთან შეთანხმებით, პრობლემა მოვაგვარეთ.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი შაუმდგომლობით სოფელ გლდანში მარჯანიშვილის, მაისურაძის და ბარათაშვილის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელი გაკეთდა და 70 ოჯახი დაერთებულ იქნა კანალიზაციის ცენტრალურ მილზე. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ცენტრალურ მილზე დაერთების გარეშე დარჩა 9 ოჯახი, რომელთა საკითხსაც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური განიხილავს და გადაწყვეტს. აქ ადგილობრივებს კანალიზაციის ქსელი არსდროს ქონიათ.

ჩემი ბიუროს წევრებთან ერთად დავდიოდი მოსახლეობში, ვხვდებოდი მათ ქუჩებში, ვუკაკუნებდი თითოეული მათგანის სახლის კარზე და ვეცნობოდი პირადად, რის შედეგადაც რამდენიმე კორპუსის სახურავისა და ლიფტის აღდგენის პროცესი დაიწყო, მოეწყო სკვერი 2 მისამართზე. გავიცანი და დავუმეგობრდი შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომელთაც მკურნალობისა და მედიკამენტების შეძენის საშუალება არ ქონდათ, დავეხმარე მათ.

გავეცანი ხელოვან ადამიანებს, რომლებიც თავისი შემოქმედებით ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდნენ. ჩვენ ვაპირებთ მათთან თანამშრომლობას და მათ გამოფენებსა და საიუბილეო საღამოების მოწყობაში მონაწილეობის მიღებას. მჭიდრო კავშირი მაქვს გლდანის რაიონში არსებულ ალექსანდრე ახმეტელის სახელობის თეატრთან, ჩვენ მეგობრობას და ურთიერთობას აძლიერებს ერთად დაგეგმილი ღონისძიებები, რომელიც სულ მალე დაიწყება, პოეზიისა თუ სხვა საღამოების სახით, სადაც პირველ რიგში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, მრავალშვილიანი ოჯახების, ომის ვეტერანებისა და პენსიონერების მოწვევა იგეგმება.

ჩემი უშუალო შუამდგომლობით ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, მოეწყო 7ერთეული პანდუსი, 3 მწვანესაფარიანი სპორტული მოედანი და 2 სკვერი. 24 სოციალურად დაუცველ მოქალაქეს ოჯახის გადამოწმების შედეგად დაეწია სარეიტინგო ქულა და 7 მათგანს აღუდგა სოციალური დახმარება. უფასო სასადილოს მოთხოვნით 7 მოქალაქე დაკმაყოფილდა.

გლდანის ლუწი მიკრო რაიონების მაჟორიტარი დეპუტატის
გულია გოცირიძის აქტივობები
11.11.2016 – 11.10.2017

---

1. ყოველ ოთხშაბათ დღეს ვხვდები სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოსახლეობას- სულ ჩავატარე 46 შეხვედრა.

2. სხვა და სხვა სახის 74 აქტივობა.

3. სადღესასწაულო დღეებში, პირადად ოჯახებში ვესტუმრე და სასაჩუქრე პაკეტები გადავეცი 88 ოჯახს.

4. სადღესასწაულო დღეებში სასაჩურე პაკეტები გადავეცი ინდივიდუალურად 173 ადამიანს.

4.ჩემი ინიციატივით განხორციელდა 15 ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტი.

გაგაცნობთ ქალაქის საკრებილოსა და სხვადასხვა საიტზე განთავსებულ ჩემს მიერ განხორციელებულ რამდენიმე აქტივობას

ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც ჩემი შუამდგომლობით განხორციელდა

<u>ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა</u>

1. გულია გოცირიძე შეხვდა წინამძღვრიშვილის ქუჩის მცხოვრებლებს. მისი შუამდგომლობით ამავე ქუჩაზე განათების ბოძები დამონტაჟდა.

2. 6 აპრილი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონის გმირ კურსანტთა ქუჩის მაცხოვრებლებს ადგილზე შეხვდა წყლის კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად.

3. 5 აპრილი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონის 103-ე კორპუსის მაცხოვრებლებს ადგილზე შეხვდა. (აღნიშნულ კორპუსში წლების მანძილზე არ მუშაობდა ლიფტი)

4. 27 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის VIII, VI და II მიკრო რაიონებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებული პირებს ადგილზე შეხვდა. (მოსახლეობა მოითხოვდა -ჭერის შერემონტებასა და შიდაკვარტალური გზების დაგებას. დეპუტატის შუამდგომლობით რამდენიმე კორპუსში, სადაც დევნილები ცხოვრობენ, პრობლემა გადაწყვეტილია. მე2 მ/რ, 45ა კორპუსი, მე-4 მ/რ-ის 23 აკორპუსი)

5. 23 მარტი. გულია გოცირიძე ადგილზე შეხვდა 6 მ/რ, კ-14-ბ (ყოფილი 110 ბაგა-ბაღი) მოსახლეობას. სკვერი, კანალიზაცია.(მომდინარეობს)

6. 24 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის VIIIმ/რ, კ-2,6, 5იში მცხოვრებ მოსახლეობას ადგილზე შეხვდა. (ისაუბრეს სადარბაზოების რემონტსა, პარკინგების მოწესრიგებაზე).

7. 21 მარტი. გულია გოცირიძე ადგილზე შეხვდა გლდანის 8 მ/რ, კ-27-ა, მოსახლეობას. (სურთ რკინის კარების დამონტაჟება, დეპუტატმა შუამდგომლობა აღუძრათ).

8. 23 მარტი. გულია გოცირიძე ადგილზე შეხვდა ,,ა" მ/რაიონის 70-ე კორპუსის მაცხოვრებლებს.(მათ ეზოში არის ძველი ბოილერი, საჭიროა იყო დემონტაჟი. დეპუტატმა აღნიშნული პრობლემა მოაგვარა).

9. 24 მარტი. გულია გოცირიძე ადგილზე შეხვდა 2 მ/რ, კ-40, 41, 42, 43 მაცხოვრებლებს (სურთ სკვერის მოწყობა. დეპუტატმა მოსახლეობას გამგეობასთან უშუამდგომლა).

10. 18 მარტი. გულია გოცირიძე ,,ა" მ/რ-ის მოსახლეობას ადგილზე შეხვდა. (კორპუსში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს აქვს მოთხოვნა ელექტრო ენერგიის გადასახადის გადანაწილებაზე, რაც მოგვარებულია).

11. 17 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის ,,ა" მიკრო რაიონის 65-ე კორპუსების მცხოვრებლებს ადგილზე შეხვდა(მოსახლეობა ითხოვდა სახურავის შეკეთებას და ფანჩატურის დადაგმას).

12. 16 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონში კობერიძის ქუჩის მოსახლეობას ადგილზე შეხვდა. ითხოვენ სკვერის მოწყობას. სიჩქარის შემზღუდავს. შუქის მიწოდების გაუმჯობესებას. (სიჩქარის შემზღუდი დამონტაჟებულია, შუქის მიწოდება გაუმჯობესებულია. აღნიშნული ქუჩა მიმაგრებულია მცხეთის

ჰიდროელექტროსადგურზე).

13. 18 იანვარი. გულია გოცირიძე გმირ კურსანტთა N22-ში იმყოფებოდა. კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების პრობლემებს ადგილზე გაეცნო (სარდაფში კანალიზაცია ჩაედინება, დროგამოშვებით აქვთ სასმელი წყალი. პრობლემა გადაჭრილია).

14. დეპუტატი გულია გოცირიძის ინიციატივით, გმირ კურსანტთა და ქერჩის ქუჩები გაიმიჯნა. მოხდა გმირ კურსანტთა ქუჩის ნუმერაცია.
(აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ბევრ უბანში არის მოსაგვარებელი, რასაც შემდგომ სადეპუტატო პერიოდში გადავჭრი).

15. გულია გოცირიძე შეხვდა წინამძღვრიშვილის ქუჩის მცხოვრებლებს. მისი შუამდგომლობით ამავე ქუჩაზე განათების ბოძები დამონტაჟდა. (დაკმაყოფილდა 31 მოქალაქის მოთხოვნა)

<u>ბმა, სოციალური, კულტურული და სხვა აქტივობები</u>

1. 11.08.2017 გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრი გულია გოცირიძე საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრებს სპორტულ კლუბ "ამერში" ეწვია. (მოისმინა მათი პრობლემები და აღმოფხვრაში დახმარებას დაპირდა)

2. 02.08.2017 გულია გოცირიძემ გმირ კურსანტთა ქუჩის მაცხოვრებლებს პრობლემა მოუგვარა (სასმელი წყლის ჭა გასუფთავდა).

3. 31.07.2017 გულია გოცირომე კანალიზაციის ქსელის მოწყობის პროცესს ადგილზე გაეცნო. (სოფელ გლდანში)

4. 28.07.2017 გულია გოცირიძის შუამდგომლობით, 3 000-ზე მეტ მოქალაქეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა

5. 21.07.2017 გულია გოცირიძე მრავალშვილიან დედებს შეხვდა(მეორე შეხვედრა)

6. 10.07.2017 გულია გოცირიძე დღის ცენტრს "ია" დახმარება გაუწია (დღის ცენტრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ნარჩენებისგან გათავისუფლება).

7. 07.07.2017 გულია გოცირიძემ თბილისის მერთან ერთად, გლდანის მე-6 მიკრო რაიონში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა;

8. 29.06.2017 გულია გოცირიძე გლდანის რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს შეხვდა

9. 22.06.2017 გულია გოცირიძემ სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა (მე-6 მ/რ, კ-17 და კ-18 შორის);

10. *20.06.2017* გულია გოცირიძემ მის სამაჟორიტარო ოლქში უფასო სასადილოები მოინახულა;

11. 20.06.2017 გულია გოცირიძემ მრავალშვილიან დედას, ნათია სვანიძეს, ორსართულიანი საწოლი გადასცა;

12. 15.06.2017 გულია გოცირიძემ შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე არასრულწლოვან შშმ პირს მიულოცა

13. 13.06.2017. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონის საჯარო სკოლების მედალოსან ბავშვებს მადლობის სიგელები გადასცა.

14. 09.06.2017 გულია გოცირიძე ხელოვან მაია მირუაშვილის შემოქმედებით საღამოს დაესწრო

15. 05.06.2017 გულია გოცირიძე გლდანის VI მიკრო რაიონის მოსახლეობას შეხვდა და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მათი მოთხოვნები შეაფასა.

16. 01.06.2017 გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში მცხოვრებ ბავშვებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა

19. 01.06.2017 გულია გოცირიძე და ბორია ფირცხელიანი ბაგა-ბაღში გამართულ ყვავილების დღესასწაულს დაესწრნენ

20. 31 მაისი. გულია გოცირიძემ ლიტერატურულ კონკურსში „ჩემი ვეფხისტყაოსანი"- გამარჯვებულები დააჯილდოვა.

21. 29 მაისი. გულია გოცირიძე მეგობრობის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა და ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

22. 25.05.2017. გულია გოცირიძემ ომის ვეტერანებს 26 მაისი მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

23. 24 მაისი. გულია გოცირიძე გამოფენა-ფესტივალს ..პატარა ხელებით“ დაესწრო.

24. 11 მაისი. გულია გოცირიძემ შშმ პირს ლიდია კრავეიშვილს ეტლი გადასცა.

25. 11 მაისი. გულია გოცირიძემ გლდანის რ-ის ჰიპერმარკეტ ,,გორგიას“ ფილიალის გახსნაში მიიღო მონაწილეობა.

26. 4 მაისი. გულია გოცირიძე 4მ/რ-ში მცხოვრებ ამხანაგობების წარმომადგენლებს შეხვდა და კორპუსებში წარმოქმნილ საკითხებთან დაკავშირებით ესაუბრა.

27. 27 აპრილი. გულია გოცირიძე გარემოვაჭრეებს შეხვდა.

28. 27.04.2017. გულია გოცირიძე 6 მ/რ-სი მდებარე კორპუსების ამხანაგობების წარმომადგენლებს შეხვდა.

29. 26 აპრილი. გულია გოცირიძე გმირ კუტსანტთა ქუჩის # 3 მოსახლეობას გლდანის რაიონის გამგეობაში შეხვდა (წყლის პრობლემები მოაგვარა)

30. 13.04.2017. გულია გოცირიძემ შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა.

31. 12 აპრილი. გულია გოცირიძემ უფასო სასადილოების ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათი გადასცა;

32. 6.04.2017. გულია გოცირიძე გლდანის რაიონის გმირ კურსანტთა ქუჩის მაცხოვრებლებს ადგილზე შეხვდა; წყლის კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად;

33. 5 აპრილი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონის 103-ე კორპუსის მაცხოვრებლებს ადგილზე შეხვდა. (ითხოვენ კორპუსის ფასადის შეკეთებას);

34. 1 აპრილი. დეპუტატი გულია გოცირიძე 107- ე ბაგა- ბაღში გამართულ ღონისძიებას ,,გარემოსდაცვითი სკოლამდელი განათლება" - დაესწრო;

35. 29 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის VII მ/რ-ის №10; VI მ/რ-ის №10 და მუხიანის IV ბ. მ/რ-ის №29 კორპუსების მიმდებარედ ფეხბურთისა და კალათბურთის განახლებული სამი სპორტული მოედანი გაიხსნას დაესწრო.

36. 27 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონში მოზარდებს შორის ჩატარებული ჭადრაკის ჩემპიონატის დახურვას დაესწრო და გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

37. 26 მარტი. გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გულია გოცირიძე ინტელექტუალურ თამაშს - ,,რა? სად? როდის?''დაესწრო;

38. 27 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის VIII, VI და II მიკრო რაიონებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებს შეხვდა.(ცხოვრობენ ყოფილი ბაგა-ბაღების შენობებში. ითხოვენ კორპუსის ფასადის გალამაზებას).

39. 23.03.2017. გულია გოცირიძე შეხვდა 6 მ/რ, კ-14-ბ (ყოფილი 110 ბაგა-ბაღი) მოსახლეობას. (სკვერი და კანალიზაცია, პრობლემა მოგვარებულია);

40. 24 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის VIII, კ-2,6, 5 მიკრო რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა. (ითხოვენ პარკინგების მოწესრიგებას).

41. 21 მარტი. გულია გოცირიძე შეხვდა გლდანის 8 მ/რ, კ-27-ა, მოსახლეობას. (მოსახლეობა ითხოვს რკინის კარების დამონტაჟებას. შუამდგომლობით საკითხი მოგვარდა);

42. 22 მარტი. გულია გოცირიძემ ოფისის წევრებთან ერთად, სამი სპორტული მოედნის მოწყობისათვის ჩატარებული სამუშაოები დაათვალიერა. გმირ კურსანტთა ქ.#3ა და 5. 8 მ/რ, კ-30 მიმდებარედ.

43. 21.03.2017. გულია გოცირიძემ გლდანში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მიულოცა და ოჯახში ეწვია.

44. 20 მარტი. დეპუტატი გულია გოცირიძე რაიონში არსებულ საზოგადოებრივ კოლეჯს ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" ესტუმრა.

45. 18 მარტი. გულია გოცირიძე ,,ა" მ/რ-ის მოსახლეობას შეხვდა. შუქის, ბუნებრივი აირისა და დასუფთავების საფასურის გადასახადის გადანაწილების თაობაზე.

46. 16 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონში კობერიძის ქუჩის მოსახლეობას შეხვდა. ითხოვენ შიდაკვარტალური გზის მოწყობას (მოთხოვნა დაკმაყოფილებულია);

47. 16 მარტი. გულია გოცირიძემ რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. (საგზაო, ორმოული სამუშაოები)

48. 13 მარტი. დეპუტატი გულია გოცირიძე, რაიონის სხვა მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გლდანის გამგეობის მიერ გამართულ მასობრივი სპორტის ჩემპიონატზე დაესწრო და გამარჯვებული გუნდი დააჯილდოვა.

49. 8 აპრილი. მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შშმ პირები მოინახულა და სასაჩუქრე ნობათები გადასცა.

50. 8.03.2017. გულია გოცირიძემ სამშობიარო სახლის პერსონალსა და მშობიარე დედებს 8 მარტი მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

51. 8.03.2017. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში მცხოვრებ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

52. 7 მარტი. დეპუტატი სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პენსიონერს, ყოფილ ჟურნალისტს ლია ბუგიანიძეს ესტუმრა, ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

53. 3 მარტი. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში არსებულ სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებსა და პედაგოგებს დედის დღე მიულოცა.

54. 1 მარტი. გულია გოცირიძე მოქალაქეების ტრადიციული მიღების შემდეგ, საჭადრაკო სკოლას ეწვია და მოზარდებთან ხუთ დაფაზე ერთდროული სეანსი გამართა.

55. 24 თებერვალი. გულია გოცირიძემ შშმ პირებს ეტლი გადასცა.

56. 8 თებერვალი. დეპუტატმა გულია გოცირიძემ მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრა გამართა. დეპუტატის შუამდგომლობით, შეხვედრაზე მოსულ რამდენიმე მოქალაქეს უფასო სამედიცინო კვლევა ჩაუტარდა.

57. 19 იანვარი. გულია გოცირიძემ მრავალშვილიან ოჯახებს ნათლისღება მიულოცა და საჩუქრები გადასცა;

58. 18 იანვარი. გულია გოცირიძე გმირ კურსანტთა N22-ში იმყოფებოდა. კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების პრობლემებს ადგილზე გაეცნო. ამავე დღეს გულია გოცირიძემ თავის სამაჟორიტარო ბიუროში მოქალაქეთა ტრადიციული მიღება

გამართა.

59. 7.01.2017. გულია გოცირიძემ ..ბარბარე 21-ე" ბენეფიციარებს შობა-ახალი წელი მიულოცა (მათ მიერ ჩატარებულ კონცერტს დაესწრო და საჩუქრები გადასცა);

60. 30.12.2016. გულია გოცირიძე თავის სამაჟორიტარო ოლქში 30 სოციალურად დაუცველ ოჯახს ესტუმრა და საახალწლო ნობათები გადასცა.

61. 31.12.2016. გულია გოცირიძე თავის სამაჟორიტარო ოლქში 10 მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრა და საახალწლო ნობათები გადასცა.

62. 29 დეკემბერი. გულია გოცირიძე 190-ე ბაგა-ბაღს ესტუმრა.

63. 28 დეკემბერი. გულია გოცირიძე გლდანის ბაგა-ბაღებში გამართულ საახალწლო ღონისძიებებს დაესწრო და მოქალაქეებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა.

64. 27 დეკემბერი. გულია გოცირიძე 205-ე ბაგა-ბაღში გამართულ საახალწლო ღონისძიებას დაესწრო.

65. 27 დეკემბერი. გულია გოცირიძე 107-ე ბაგა-ბაღში გამართულ საახალწლო ღონისძიებას დაესწრო.

66. 23 დეკემბერი. გულია გოცირიძე 167–ე სკოლაში საქველმოქმედო კონცერტს დაესწრო.

67. 21 დეკემბერი. გულია გოცირიძემ შშმ პირებს ახალი წელი მიულოცა და მოქალაქეებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა.

68. 13 დეკემბერი. გულია გოცირიძემ გლდანის მე–4 მ/რ–ის 96 კორპუსში მცხოვრებ ყოფილ ჟურნალისტს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, ლია ბუგიანიძეს მისივე თხოვნის საფუძველზე დახმარება აღმოუჩინა.

69. 6 დეკემბერი. გულია გოცირიძემ გლდანში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი განახორციელა და მოქალაქეებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა.

70. 23 ნოემბერი. დეპუტატმა გულია გოცირიძემ, გლდანის რაიონის გამგებელთან ერთად, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ,,გიორგობის" ბრწყინვალე დღესასწაული

მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

71. 13 აპრილი. გულია გოცირიძემ შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა.
(10 მრავალშვილიან და 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს სახლში ვესტუმრეთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცეთ და სასაჩუქრე პაკეტები გადავეცი).

==========

გულია გოცირიძის ქველმოქმედება

72. სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს 2 სართულიანი საწოლი გადასცა. (1 ოჯახი)
73. ივლისი. მრავალშვილიან და მათ შორის სოციალურად დაუცველ ოჯახებს შეხვდა და საჩუქრები გადასცა. (12 ოჯახი)
74. 13 აპრილი. გულია გოცირიძემ შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა. (20 ოჯახი)

75. 27 მარტი. გულია გოცირიძე გლდანის რაიონში მოზარდებს შორის ჩატარებული ჭადრაკის ჩემპიონატის დახურვას დაესწრო და გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. (6 გამარჯვებული)

76. 21 მარტი. გულია გოცირიძემ გლდანში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მიულოცა. (4 ოჯახი)

77. 8 აპრილი. მაჟორიტარმა დეპუტატმა გულია გოცირიძემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შშმ პირები მოინახულა და სასაჩუქრე ნობათები გადასცა. (4 შშმ პირი)

78. 8 მარტი. გულია გოცირიძემ სამშობიარო სახლის პერსონალსა და მშობიარე დედებს 8 მარტი მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. (9 სასაჩუქრე პაკეტი)

79. 8 მარტი. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში მცხოვრებ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. (41 სასაჩუქრე პაკეტი)

80. 8 მარტი. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში მდებარე სამშობიარო სახლს ესტუმრა და დედებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა (9 პაკეტი)

81. 7 მარტი. დეპუტატი სოციალურად დაუცველ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პენსიონერს, ყოფილ ჟურნალისტს ლია ბუგიანიშვილს ესტუმრა. ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

82. 3 მარტი. გულია გოცირიძემ გლდანის რაიონში არსებულ სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებსა და პედაგოგებს დედის დღე მიულოცა და სპექტაკლზე დაპატიჟა. 58 მასწავლებელი.)

83. 19 იანვარი. გულია გოცირიძემ მრავალშვილიან ოჯახებს ნათლისღება მიულოცა.(14 ოჯახი)

84. 7 იანვარი. გულია გოცირიძემ ,,ბარბარე 21-ე" ბენეფიციარებს შობა-ახალი წელი მიულოცა. და საჩუქრები გადასცა. (14 ბენეფიციარი)

85. 29-30 დეკემბერი. გულია გოცირიძე თავის სამაჟორიტარო ოლქში სოციალურად დაუცველ ოჯახებს ესტუმრა და საახალწლო ნობათები გადასცა. (37 ოჯახი)

86. 21 დეკემბერი. გულია გოცირიძემ დღის ცენტრ ,,იას" ბენეფიციარ შშმ პირებს ახალი წელი მიულოცა და მოქალაქეებთან ტრადიციული შეხვედრა გამართა.(17 ბენეფიციარი)

87. 13 დეკემბერი. გულია გოცირიძემ გლდანის მე–4 მ/რ–ის 96–დ კორპუსში მცხოვრებ ყოფილ ჟურნალისტს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, ლია ბუგიანიძეს მისივე თხოვნის საფუძველზე დახმარება აღმოუჩინასა ახალი საწოლი და საკვები პროდუქტები გადასცა.

88. გულია გოცირიძის შუამდგომლობით უფასო სამედიცინო გამოკვლევები 11.11.2016-11.10.2017წწ, (მისი უფლებამოსილების პერიოდში), ჩაუტარდა გლდანის რაიონის 3121 მაცხოვრებელს.

გამგეობასთან ერთად

89. 12 აპრილი. უფასო სასადილოების ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათი გადავეცი.
90. 23 ნოემბერი. გლდანის რაიონის გამგებელთან ერთად, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ,,გიორგობის" ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცე. (3 ბენეფიციარი)
91. მარტი. გამგეობასთან ერთად დავარიგე 25 ოჯახზე წვნიანების პაკეტები.

ჩემი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, რათა მქონდეს ინფორმაცია ჩემს სამაჟორიტარო ოლქში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, გლდანის რაიონის გამგეობასთან ერთად განვახორციელე მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული და ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსებით მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში მოსახლეობას გავაცანი სამომავლოდ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და მოვისმინე მათი მოთხოვნები.

მოგაწვდით ჩამონათვალს იმ სამუშაოებისა, რომელიც გლდანის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელდა გლდანის ლუწ მიკრო რაიონებში და აღნიშნული ობიექტების ერთობლივი მონიტორინგი განხორციელდა.

1. ლიფტების შეკეთება - 10 მისამართზე;
2. სკვერის მოწყობა - 8 მისამართზე;
3. სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - 7 მისამართზე;
4. ბრტყელი სახურავით გადახურვა - 10 მისამართზე;
5. საერთო სარგებლობის ხის, ქვის, და ლითონის კიბეების აღდგენა - 6 მისამართზე;
6. სადარბაზოების შიდა რემონტი - 5 მისამართზე;
7. სართულებშორისი ნაპრალების რეაბილიტაცია - 2 მისამართზე;
8. შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანა - 3 მისამართზე;
9. ფიტნეს ტრენაჟორები - 3 მისამართზე;
10. შიდაკვარტალური გზების მოწყობა - 8 მისამართზე;
11. Ორმოული სამუშაოები - 10 მისამართზე;

ჩატარებულ იქნა საგანგებო ვითარებაში სამუშაოები, როდესაც ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალდა ჩემს სამაჟორიტარო ომქში 11 კორპუსის სახურავი, შემდეგ მისამართებზე: მე-2 მ/რ-ის კ-25, 26, 31. მე-4 მ/რ-ის კ-92ა, 96, 97. მე-6 მ/რ-ის კ-6, 7, 10, 29, 30.

სხვადასხვა სამსახურებთან თანამშრომლობა

ჩემი დეპუტატობის 11 თვის მანძილზე ვთანამშრომლობდით სხვადასხვა სამინისტროებთან და სამსახურებთან.

მოგეხსენებათ გლდანის რაიონში ბევრი დევნილი ცხოვრობს, აქედან გამომდინარე, ჩვენ ხშირი ურთიერთობა გვქონდა დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა განსახლების სამინისტროსთან, ბევრი წარმოქმნილი პრობლემა მათი დახმარებით მოვაგვარეთ.

ასევე ხშირად ვთანამშრომლობდით ჯანდაცვის სამინისტროსთან, სადაც ძირითადად შეკითხვებსა და მოთხოვნებს ვაგზავნიდით სოციალურად დაუცველი ოჯახების გადამოწმების შესახებ.

წყალმომარაგების კომპანია, GWP იყო ჩვენი მოკავშირე ისეთ საკითხებში, როგორიცაა კანალიზაციისა და წყლის პრობლემის მოგვარება. მართალია ბევრ მისამართზე წარმოქმნილი პრობლემა ერთად გადავწყვიტეთ და მოვაგვარეთ, მაგრამ ბევრიც მოსაგვარებელია. ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე შ.პ.ს. ,,ყასტრანს-გაზ თბილისმა“ ბევრ ოჯახს გადაუნაწილა ბუნებრივი აირის გადასახადი.

განსაკუთრებით მჭიდროდ ვთანამშრომლობდით მერიის სამსახურებთან და მერიასთან არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან და ა(ი)იპ-ებთან: მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურთან, მერიის საქალაქო სატრანსპორტო სამსახურთან, მერიის კეთილმოწყობისა და არქიტექტურის სამსახურებთან, შ.პ.ს. ,,თბილსერვის ჯგუფთან“ და ,,სინათლის ქალაქთან“.
ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურთან, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოსთან.